ო ქ მ ი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. **2024 წლის 27 თებერვალი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.წლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.ფრიდონ შონია

5.ბადრი რიჟამაძე

6.ჯანსუღ ჯიშკარიანი

7.მოგელი ხუხია

8.გურიელ ქარდავა

9.მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 23024 წლის 22 თებერვლის N 50-502405350 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში გასაშენებელი ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული

სამართლებრივი დასკვნის შესაბამისად, რომელიც შეეხებოდა დადგენილების პრეამბულაში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და საამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2023 წლის 4 აპრილის N 2738 – x1მს-xმპ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დამატებას და დადგენილებით დამტკიცებული დანართი N 1-ის „საქართველოს მუნიციპალიტეტებში (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა) მწვანე ნარგაობათა შერჩევის, დარგვისა და მოვლის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 მარტის N 513 განკარგულების N 6 დანართთან შესაბამისობაში მოყვანას, რომლითაც განსაზღვრულია გურიასა და სამეგრელოს მუნიციპალიტეტების ურბანული ზონის გამწვანებაში გამოსაყენებელი მცენარეების ჩამონათვალი. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების განყოფილების მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N 33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა ზემოთ აღნიშნული შენიშვნები.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმართა, რომ დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძველია „საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: ვ. ქანთარია/.